წინამდებარე კონფიდენციალურობის შეტყობინება შესახებ გაცნობებთ, თუ როგორ გპირდებით ,,თქვენი“ პერსონალური მონაცემების დაცვას. შეტყობინება გამცნობთ ისეთ დეტალებს, როგორიცაა: რა ინფორმაციას ვიყენებთ ,,ჩვენი“ სატრანსპორტო მომსახურების შემოთავაზების მიზნით, როგორ ვიყენებთ ,,თქვენს“ ინფორმაციას ,,თქვენივე“ უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და ,,თქვენთვის“ ხელმისაწვდომი მართვის პარამეტრებისა და არჩევანის შესახებ. წინამდებარე შეტყობინება ასევე გაცნობებთ ,,თქვენი“ პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლების შესახებ და თუ როგორ მუშაობს მონაცემთა დაცვის წესები ყველას დასაცავად.
,,შპს ბოლტ სერვისის ჯი” არის ,,თქვენი“ პერსონალური მონაცემების მაკონტროლებელი (მონცემთა დამუშავავებისათვის პასუხისმგებელი პირი), თუ ქვემოთ სხვა რამ არ არის მითითებული. ,,ჩვენი” საფოსტო მისამართია: საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, დავით აღმაშენებლის გამზირი, N129ა, მე-3 სართული, ოფისი N4.
,,ჩვენ“ დავნიშნეთ მონაცემთა დაცვის ოფიცერი და ,,თქვენ“ შეგიძლიათ დაუკავშირდეთ მას ელექტრონული ფოსტით: privacy@bolt.eu ან ,,ჩვენი“ საფოსტო მისამართის საშუალებით, რომელიც შეგიძლიათ ნახოთ ქალაქის გვერდებზე. გთხოვთ, მონიშნოთ კონვერტი ,,მონაცემთა დაცვის ოფიცერი“.
ტერმინი ,,ჩვენ“ გულისხმობს ,,შპს ბოლტ სერვისის ჯის“, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსებულია და რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სარეგისტრაციო კოდით 402304831.
ტერმინი ,,თქვენ“ ან ,,თქვენი“ გულისხმობს მგზავრს, რომელიც ითხოვს, იყვანს ან/და იღებს სატრანსპორტო მომსახურებას ,,ბოლტის“ აპლიკაციის ანგარიშის მეშვეობით.

1. **,,ჩვენს“ მიერ დამუშავებული პერსონალური მონაცემები**

,,ჩვენ“ ვამუშავებთ მხოლოდ ,,ჩვენს” სატრანსპორტო ბაზარზე ,,თქვენთვის“ საუკეთესო მომსახურების მოწოდებისთვის საჭირო ინფორმაციას. მონაცემთა კატეგორიებია:

- საკონტაქტო ინფორმაცია: ისეთი ინფორმაცია, როგორიცაა: სახელი, ტელეფონის ნომერი და ელექტრონული ფოსტის მისამართი. ,,ჩვენი“ ზოგიერთი მომსახურებისთვის შეიძლება საჭირო გახდეს დამატებითი ინფორმაცია, მაგალითად, ,,თქვენი“ სახლის მისამართი.
- პროფილის ინფორმაცია: ისეთი ინფორმაცია, როგორიცაა: ,,თქვენი“ პროფილის სურათი, შენახული მისამართები, არჩეული ენა და კომუნიკაციის ფორმა. ,,ჩვენი“ ზოგიერთი მომსახურებისთვის შეიძლება საჭირო გახდეს დამატებითი ინფორმაცია, მაგალითად, ,,თქვენი“ მართვის მოწმობის დეტალები.
- გეოლოკაცია: მაგალითად, საიდანაც გსურთ მგზავრობის დაწყება ან ახლომდებარე სკუტერების ადგილმდებარეობა, დრო, მგზავრობის მსვლელობა და ,,თქვენი“ მგზავრობის საბოლოო დანიშნულების ადგილი.
- გადახდის ინფორმაცია: გადასახდელი/გადახდილი თანხის ოდენობა და გადახდისთვის გამოყენებული ბარათი.
- კომუნიკაციისა და კორესპონდენციის ჩანაწერები, როგორიცაა ,,თქვენს” მიერ აპლიკაციის შიდა სასაუბროს გამოყენება ან საუბარი მომხმარებელთა მომსახურების აგენტებთან.
- იმ მოწყობილობის შეზღუდული საიდენტიფიკაციო მონაცემები, როგორიცა IP-მისამართი, რომელზეც ჩაწერილია ,,ბოლტის“ აპლიკაცია.
- მონაცემები სატრანსპორტო მომსახურების გამოყენების შესახებ: ისეთი ინფორმაცია, როგორიცაა: მონაცემები მგზავრობის სტატუსის შესახებ, დრო და მძღოლების მიერ ,,თქვენი“ ქცევის შემფასებელი მონაცემები.
- მონაცემები გასაქირავებელი სატრანსპორტო საშუალების სენსორების შესახებ: ისეთი ინფორმაცია, როგორიცაა სატრანსპორტო საშუალების სიჩქარე, ძრავის სიმძლავრე, ინფორმაცია მართვის სტილის შესახებ (მათ შორის მოულოდნელი დამუხრუჭება ან სრიალი) და სატრანსპორტო საშუალებაზე ობიექტისა და პირის (პირთა) საერთო წონა და წონის ცვლილებები.
- მომხმარებლის მიერ მოწოდებული სხვა მონაცემები, როგორიცაა: გაჩერებული

ელექტრონული სატრანსპორტო საშუალების ფოტო, უკუკავშირი და მგზავრობის განმავლობაში გაკეთებული აუდიოჩანაწერი (,,ჩვენი“ უსაფრთხოების მიზნით განხორციელებული მგზავრობის აუდიოჩაწერა იმ სატრანსპორტო საშუალებებში, სადაც ასეთი ფუნქცია ხელმისაწვდომია - დამატებითი ინფორმაციისთვის, ეწვიეთ ვებ-გვერდს: https://bolt.eu/en-ee/rider/safety/).

ზემოთ აღნიშნულ წყაროებთან ერთად, ,,ჩვენ“ შესაძლოა შევაგროვოთ და მივიღოთ ,,თქვენი“ მონაცემები სხვა წყაროებიდან, როგორებიცაა:

- მძღოლები და მესამე პირები, რომლებიც გვაწვდიან ინფორმაციას მომსახურებასთან ან შესაძლო მოთხოვნებსა და დავებთან დაკავშირებით; და
- მომხმარებლები, რომლებიც მონაწილეობენ ,,ჩვენს“ სარეფერალო კამპანიებში. ამ შემთხვევაში, ,,ჩვენ“ ვიღებთ მომხმარებლის შესახებ ინფორმაციას გაწევრიანებული მომხმარებლისგან.

პერსონალური მონაცემების ნაკლებობამ (ან უზუსტობამ) შეიძლება ხელი შეგვიშალოს ,,თქვენთან“ დადებული ხელშეკრულების შესრულებაში, ან კანონით განსაზღვრული მოსალოდნელი ქმედების განხორციელებაში. ეს შეიძლება ნიშნავდეს იმასაც, რომ ,,ჩვენ“ ვერ უზრუნველვყოფთ ,,თქვენი“ ანგარიშის მუშაობას. მაგალითად, ,,ჩვენ“ ვაგროვებთ და ვამუშავებთ ,,თქვენ“ მიერ ,,ბოლტის“ აპლიკაციის ჩამოტვირთვისა და გამოყენებისას მოწოდებულ პერსონალურ მონაცემებს. აპლიკაციის საშუალებით გეოლოკაციის მონაცემების გაზიარებაზე უარის თქმა ნიშნავს, რომ ,,ჩვენ“ არ შეგვიძლია მძღოლის გადამისამართება ,,თქვენს“ ადგილსამყოფელზე ასაყვანად და რომ ,,ჩვენ“ ასევე არ შეგვიძლია დაქირავების მიზნით ,,თქვენთან“ ახლომდებარე მანქანების მდებარეობის გაზიარება. ,,ჩვენ“ ვერ შევძლებთ ,,ჩვენი“ ვალდებულებების შესრულებას სხვა გარემოებებში, მაგალითად, თუ ,,თქვენ“ უარს იტყვით ,,თქვენი“ ანგარიშის ავთენტურობის დადასტურების მიზნით, პირადობის დამადასტურებელი შემოწმების ჩატარებაზე, რა შემთხვევაშიც შესაძლოა შეჩერდეს ,,თქვენი“ ანგარიშის მოქმედება ან მთლიანად დაიბლოკოს ის, თაღლითობის პრევენციის მიზნით.

1. **დამუშავების მიზანი**

,,ჩვენ“ ვამუშავებთ ,,თქვენს“ პერსონალურ მონაცემებს, რათა მოგაწოდოთ ,,ჩვენი“ ერთ-ერთი ან რამდენიმე სატრანსპორტო მომსახურება:

- ,,ჩვენ“ გაკავშირებთ მძღოლთან, გეხმარებით სკუტერის პოვნაში ან ავტომობილის დაქირავებაში: ,,ჩვენ“ ვაგროვებთ და ვამუშავებთ პერსონალურ მონაცემებს მძღოლების მგზავრებთან დაკავშირების მიზნით, რათა მოხდეს ,,თქვენი“ აყვანა და დატოვება; ან რათა გაჩვენოთ სად მდებარეობს ,,ჩვენი“ უახლოესი ხელმისაწვდომი დასაქირავებელი სატრანსპორტო საშუალება, როგორიცაა: მანქანები ან სკუტერები. მყისიერი შეტყობინებები უშუალოდ ,,ბოლტის“ აპლიკაციაში მუშავდება მომსახურებისა და მომხმარებელთა მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად (მათ შორის მძღოლსა და მგზავრს შორის დავების მოსაგვარებლად) უსაფრთხოების მიზნით, ასევე ,,ჩვენი“ პროდუქტებისა და მომსახურების გაუმჯობესების მიზნით და ანალიზისთვის.
- ,,ჩვენ” მიგიყვანთ იქ, სადაც გსურთ წასვლა: მგზავრობისას ,,ჩვენ” ვუზიარებთ მძღოლებს გეოლოკაციისა და ტელეფონის ნომრის მონაცემებს, რათა შესაძლებელი გახდეს მგზავრის ეფექტური აყვანა და დატოვება და რათა მოგზაურობა და მარშრუტი გამჭვირვალე გახდეს. ეს მონაცემები გროვდება მხოლოდ ,,ბოლტის“ აპლიკაციის გამოყენებისას. გეოლოკაციის მონაცემების შეგროვება სრულდება ,,ბოლტის“ აპლიკაციის დახურვისას. ზოგიერთ ქვეყანაში მძღოლები ვერ ხედავენ მგზავრების ტელეფონის ნომერს; მძღოლი ხედავს სრულიად განსხვავებულ ნომერს, რომელიც დროებით გადადის მგზავრის ტელეფონის ნომერზე, რაც ნიშნავს, რომ მძღოლს და მგზავრს მაინც შეუძლიათ კომუნიკაცია.
- ,,ჩვენ” უზრუნველვყოფთ ,,თქვენს“ შეუფერხებელ მგზავრობას: ,,ჩვენ” ვიყენებთ გეოლოკაციის მონაცემებს, რათა დავრწმუნდეთ, რომ დანიშნულების ადგილზე მიხვედით და რათა გამოვასწოროთ ,,ჩვენს“ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარვეზები. ,,ჩვენ” ასევე

უნდა ვიცოდეთ თუ სად აჩერებთ დაქირავებულ სატრანსპორტო საშუალებას, რათა შევძლოთ ზუსტი ანგარიშსწორება, ელემენტის დატენვა და ,,ჩვენი“ ფლოტის შენარჩუნება.

- ,,ჩვენ” უზრუნველვყოფთ ოპტიმალურ აპლიკაციას: ,,ჩვენ” ვიყენებთ საკონტაქტო ინფორმაციას, რათა ვაცნობოთ მგზავრებს ,,ბოლტის“ აპლიკაციაში განახლებების შესახებ, რაც საჭიროა ,,ჩვენი“ მომსახურების გამოყენების გასაგრძელებლად. ,,ჩვენ“ ასევე ვაგროვებთ შეზღუდულ მონაცემებს იმ მოწყობილობიდან, რომელსაც იყენებთ ,,ჩვენს“ ინტერნეტ, მობილურ და სატელეფონო მომსახურებასთან დასაკავშირებლად და ,,თქვენი” ანგარიშის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ავთენტიფიკაციისა და ვერიფიკაციისას.
- ,,ჩვენ” უზრუნველვყოფთ, რომ ,,თქვენი“ მგზავრობა იყოს ყველაზე სწრაფი, იაფი და მოსახერხებელი: ,,ჩვენ“ ვაგროვებთ მონაცემებს ,,ჩვენი“ მგზავრების მიერ გეოგრაფიული დაფარვის გასაანალიზებლად. ეს საშუალებას გვაძლევს, მაგალითად: მივცეთ მძღოლებს რეკომენდაციები ყველაზე ოპტიმალური მარშრუტების შესახებ და გვეხმარება დავრწმუნდეთ, რომ ,,ჩვენი“ დაქირავებული მანქანები, ,,ჩვენი“ სკუტერების მსგავსად, მომხმარებლებისთვის ყველაზე მოსახერხებელ ადგილებშია.
- ,,ჩვენ“ ვიღებთ ,,თქვენს“ გადახდას: გადახდის დასამუშავებლად, მძღოლების ნაცვლად ,,ჩვენ“ ვიღებთ ,,თქვენს“ გადახდის დეტალებს. ,,ჩვენ“ ვამუშავებთ გადახდებს საკუთარი დასაქირავებელი სატრანსპორტო საშუალებებისთვის, მაგალითად, ,,ჩვენი“ მანქანებისა და სკუტერებისთვის.
- ,,ჩვენ“ უზრუნველვყოფთ სტანდარტების შენარჩუნებას: ,,ჩვენ“ ვაგროვებთ მონაცემებს მგზავრობის სტატუსების, დროისა და მძღოლის უკუკავშირით დადგენილი მგზავრების რეიტინგების შესახებ, რათა ხელი შევუწყოთ მომხმარებლის უსაფრთხოებას, ,,ჩვენი“ წესებისა და პირობების დაცვას და დავრწმუნდეთ, რომ ,,ჩვენ“ ყველას ვაწვდით ხარისხიან და სასიამოვნო მომსახურებას. მომხმარებელთა მხარდაჭერიდან მოპოვებული მონაცემები და მიმოწერა გროვდება უკუკავშირის მიზნით, დავებისა და მომსახურების ხარისხთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად.
- ,,ჩვენ“ მუდმივად გაწვდით ინფორმაციას: ,,თქვენი“ სახელი, ტელეფონის ნომერი და ელექტრონული ფოსტის მისამართი გამოყენებული იქნება ,,თქვენთან“ კომუნიკაციისთვის ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: მგზავრობის დასრულების შეტყობინება, მგზავრობის დამადასტურებელი შეტყობინება და ქვითრები, მომსახურების ისეთი მნიშვნელოვანი განახლებები, როგორიცაა სკუტერების დაქირავების მომსახურების შეჩერება ცუდი ამინდის გამო.
- ,,ბოლტის“ გაქირავების სატრანსპორტო საშუალების გამოყენებისას, ,,ჩვენ“ ვამუშავებთ დაქირავებული სატრანსპორტო საშუალების სენსორების მეშვეობით შეგროვებულ მონაცემებს უსაფრთხოების მიზნით, პოტენციურად საშიში მართვის დასადგენად და, საჭიროების შემთხვევაში, მონაცემთა სუბიექტისთვის შესაბამისი შეტყობინების გასაგზავნად - ე.ი. როდესაც არსებობს წონის მნიშვნელოვანი ცვლილება წინა მგზავრობასთან შედარებით. შესაბამისი შეტყობინება მონაცემთა სუბიექტისთვის არ იწვევს სერიოზულ შედეგებს – მისი მიზანი მართვის უსაფრთხო სტილის უზრუნველყოფაა.

,,ჩვენ“ შეიძლება დავამუშაოთ ,,თქვენ“ შესახებ არსებული ყველა პერსონალური მონაცემი სამართლებრივი მოთხოვნების დადგენის, განხორციელების ან დაცვის მიზნით, იმ შემთხვევაში, თუ ,,ჩვენ“ ვიქნებით ვალდებული თავი დავიცვათ ან წარვადგინოთ მტკიცებულებები ზიანის შესახებ მოთხოვნების, ან გამოძიების მიერ წარდგენილი სხვა მოთხოვნებისთვის.

გთხოვთ, ქვემოთ იხილოთ დამატებითი დანიშნულებები, რომელთა ფარგლებშიც ,,ჩვენ“ ვამუშავებთ ,,თქვენს“ პერსონალურ მონაცემებს, ლეგიტიმური ინტერესის შესაბამისად (მე-3 მუხლი).

1. **სამართლებრივი საფუძველი**

,,ჩვენ“ უფლება გვაქვს გამოვიყენოთ პერსონალური ინფორმაცია ზემოთ აღწერილი მეთოდებით, თუ ამის საფუძვლიანი მიზეზი გვაქვს. ,,ჩვენ“ ყოველთვის ვრწმუნდებით, რომ ,,ჩვენ“ გვაქვს

შესაბამისი მიზეზი ,,თქვენი“ მონაცემების გამოსაყენებლად.

- ხელშეკრულების დადება და შესრულება (მათ შორის მომსახურების გაწევა): პერსონალური მონაცემები, როგორც წესი, მუშავდება, რათა მოგაწოდოთ ,,ბოლტის“ აპლიკაციის მეშვეობით დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება. ეს ნიშნავს, რომ დაპირებული მომსახურების მოსაწოდებლად და ,,ჩვენი“ პირობების დასაკმაყოფილებლად, ,,ჩვენ“ ვამუშავებთ ,,თქვენს“ პერსონალურ მონაცემებს ამ ვალდებულებების შესასრულებლად.
- ლეგიტიმური ინტერესი: ,,ჩვენს“ მიერ ,,თქვენი“ პერსონალური მონაცემების დამუშავება სხვა გარემოებებში, როგორც წესი, ეყრდნობა ლეგიტიმურ ინტერესს, მას შემდეგ რაც მოხდება ლეგიტიმური ინტერესის შეფასება. ლეგიტიმური ინტერესი მოიცავს ,,ჩვენს“ კომერციულ ინტერესს, ,,ჩვენს“ მგზავრებსა და პარტნიორებს მივაწოდოთ ინოვაციური, ინდივიდუალიზებული, უსაფრთხო და მომგებიანი მომსახურება, თუ ეს ინტერესი სხვა ინტერესმა არ გადაწონა. ,,ჩვენ“ შესაძლოა დავამუშავოთ ,,თქვენი“ პერსონალური მონაცემები (პერსონალური მონაცემების სპეციალური კატეგორიების გამოკლებით) ლეგიტიმური ინტერესის საფუძველზე შემდეგი მიზნებისათვის:
- თაღლითური გადახდების, მავნე ან უკანონო საქმიანობის ან/და უსაფრთხოების დარღვევის შემთხვევების გამოძიება და გამოვლენა (გამოძიების ხასიათიდან გამომდინარე, შეიძლება დამუშავდეს მონაცემთა ყველა კატეგორია);
- ,,ჩვენი“ ქსელისა და სისტემების უსაფრთხოების შენარჩუნება და საეჭვო ან რეალურ დანაშაულებრივ ქმედებებზე რეაგირება;
- ჩანაწერების და ჟურნალების დამზადება და გადახედვა: ,,ჩვენ“ შეიძლება ჩავიწეროთ შეტყობინებები და შეკვეთები, რომლებიც გაცემულია როგორც ,,ჩვენს“ შენობაში, ასევე კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით (ელ.ფოსტა, სატელეფონო ზარები, ,,ბოლტის“ აპლიკაცია და ა.შ.), ასევე ინფორმაცია და ,,ჩვენს“ მიერ განხორციელებული სხვა ქმედებები. ,,ჩვენ“ ასევე შეიძლება განვიხილოთ ,,ჩვენი“ მგზავრობის აუდიოჩამწერის მიერ მოპოვებული აუდიოჩანაწერები (სადაც ასეთი ფუნქცია ხელმისაწვდომია). საჭიროების შემთხვევაში, ,,ჩვენ“ ვიყენებთ ამ ჩანაწერებს გამოძიებისთვის, მტკიცებულებისთვის, მოთხოვნათა დასაცავად ან/და ხარისხის გასაუმჯობესებლად;
- ,,ჩვენი“ მომსახურების უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის საჭირო ფუნქციების დანერგვა და შენარჩუნება; და
- სამართლებრივი მოთხოვნების დადგენა, განხორციელება ან დაცვა, მათ შორის: (i) საკუთარი შიდა გამოძიების მხარდაჭერა; (ii) მოთხოვნების განაწილება და ვალის შესაგროვებელი ღონისძიებების გამოყენება; და (iii) იურიდიული მრჩევლების დახმარება (მოთხოვნის მიხედვით, ყველა მონაცემი შეიძლება დამუშავდეს).
- ,,ჩვენ“ შესაძლებელია, ყოველ კონკრეტულ შემთხვევიდან გამომდინარე, დროდადრო, დავეყრდნოთ ალტერნატიულ სამართლებრივ საფუძველს, თუ ეს უფრო შეესაბამება საჭიროებას. ასეთი შეიძლება იყოს შემთხვევა:
- როდესაც აუცილებელია ისეთი კანონით დადგენილი სამართლებრივი ვალდებულების შესრულება, როგორიცაა მონაცემთა დამუშავების შემთხვევაში, მაგალითად, თუ არსებობს პერსონალურ მონაცემეთა გამჟღავნების სამართლებრივი მოთხოვნა მესამე პირისთვის, როგორიცაა სასამართლო ან მარეგულირებელი ორგანო.
- როდესაც აუცილებელია ,,თქვენი“ სასიცოცხლო ინტერესების, ან სხვების ინტერესების დაცვა, მაგალითად, საგანგებო სიტუაციის ან სიცოცხლის საფრთხის შემთხვევაში; ან/და
- როდესაც ,,თქვენ“ მოგვცემთ მკაფიო თანხმობას ამის გაკეთებაზე სხვა კონკრეტული მიზნისთვის, რომლის შესახებაც ,,თქვენ“ სრულად ხართ ინფორმირებული. იმ ქვეყნებში, სადაც ლეგიტიმური ინტერესი არ არის ,,ბოლტის“ მიერ მონაცემების დამუშავების კანონიერი საფუძველი, ,,ბოლტი“ ეყრდნობა ალტერნატიულ მოქმედ სამართლებრივ საფუძვლებს, რომლებიც შეესაბამება ზემოთ მითითებული საფუძვლებს.

- თუ პერსონალური მონაცემები მუშავდება ახალი მიზნით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პერსონალური მონაცემების თავდაპირველად შეგროვება და დამუშავება არ ეფუძნება მონაცემთა სუბიექტის თანხმობას, ,,ჩვენ" ყურადღებით ვაფასებთ ასეთი დამუშავების დასაშვებობას. იმისთვის, რომ დავადგინოთ, შეესაბამება თუ არა ახალი მიზნით დამუშავება იმ მიზანს, რომლისთვისაც თავდაპირველად შეგროვდა პერსონალური მონაცემი, გათვალისწინებული იქნება, მათ შორის:
- ნებისმიერი კავშირი პერსონალური მონაცემების შეგროვების თავდაპირველ და შემდგომი დამუშავების მიზნებს შორის;
- პერსონალური მონაცემების შეგროვების კონტექსტი, კერძოდ, ,,თქვენსა" და ,,ჩვენ" შორის არსებული ურთიერთობა;
- პერსონალური მონაცემების ხასიათი, კერძოდ, მუშავდება თუ არა პერსონალური მონაცემების სპეციალური კატეგორია ან მუშავდება თუ არა ნასამართლობასა და სამართალდარღვევასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემები;
- ,,თქვენთვის" არსებული დამუშავების შესაძლო შედეგები; და
- შესაბამისი უსაფრთხოების გარანტიების არსებობა, რომელიც შეიძლება მოიცავდეს დაშიფვრას ან ფსევდონიმიზაციას.

1. **პერსონალურ მონაცემთა მიმღები**

,,ჩვენ" ვთანამშრომლობთ მხოლოდ სანდო პარტნიორებთან და ორგანოებთან. ,,ჩვენ" მხოლოდ მაშინ ვაზიარებთ მონაცემებს, როდესაც ამის საფუძვლიანი მიზეზი არსებობს. ,,ჩვენ" ვაზიარებთ მხოლოდ იმას, რაც საჭიროა. ,,ჩვენ" არ ვყიდით ,,თქვენს" პერსონალურ მონაცემებს.

- მგზავრის პერსონალურ მონაცემებს იღებს მხოლოდ მძღოლი ,,ბოლტის" აპლიკაციით მგზავრობის მომსახურების მიღებისას; ამ დროს, მძღოლი დაინახავს მგზავრის სახელს, ტელეფონის ნომერს (ზოგიერთ ქვეყანაში ნომერი დაფარულია) მგზავრის რეიტინგსა და გეოლოკაციის მონაცემებს.
- სატრანსპორტო მომსახურების გაწევის შემდეგ, 24-48 საათის განმავლობაში მძღოლისთვის ხილული დარჩება მგზავრის სახელი და ტელეფონის ნომერი (ზოგიერთ ქვეყანაში ნომერი დაფარულია). ეს აუცილებელია მგზავრთან პრობლემის მოსაგვარებლად, მაგალითად, თუ რაიმე განსაკუთრებული დაგრჩათ მანქანაში. უი!
- მგზავრთა მიერ მოწოდებული უკუკავშირი მგზავრობის მომსახურების ხარისხთან დაკავშირებით არის ანონიმური. ,,თქვენი" რეიტინგი არის კონფიდენციალური ,,თქვენსა" და ,,ბოლტს" შორის.
- მგზავრის ადგილმდებარეობის მიხედვით, პერსონალური მონაცემები შეიძლება გაუზიარდეს ,,ბოლტის" ჯგუფის კომპანიებსა და პარტნიორებს (ადგილობრივი შვილობილი კომპანიები, წარმომადგენლები, აფილირებული კომპანიები, აგენტები და ა.შ.). ,,ბოლტის" ჯგუფის კომპანიებისა და პარტნიორების მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავება მოხდება იმავე მკაცრი პირობებით, რაც დადგენილია კონფიდენციალურობის ამ შეტყობინებაში. ,,თქვენ" შეგიძლიათ გაეცნოთ დეტალურ ინფორმაციას ,,თქვენი" ქვეყნის გვერდზე.
- ზოგიერთ შემთხვევაში ,,ჩვენ" სამართლებრივად ვალდებულნი ვართ გავუზიაროთ ინფორმაცია გარე მიმღებებს. მაგალითად, სასამართლოს ბრძანების თანახმად ან სადაც ,,ჩვენ" ვთანამშრომლობთ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოსთან საჩივრების ან გამოძიების წარმართვაში. ,,ჩვენ" ასევე შეგვიძლია ვუპასუხოთ მოთხოვნებს, მაგალითად, სამართალდამცავი ორგანოების მოთხოვნებს, როდესაც ,,ჩვენ" გვაქვს კეთილსინდისიერი რწმენა, რომ პასუხი კანონით არის მოთხოვნილი ამ იურისდიქციაში ან ხელს უწყობს საზოგადოებრივ ინტერესს, გავლენას ახდენს ამ იურისდიქციაში მყოფ მომხმარებლებზე და შეესაბამება საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს. ნებისმიერ შემთხვევაში, ,,ჩვენ" ყოველთვის უზრუნველვყოფთ, რომ ინფორმაციის გაზიარება მოხდეს კანონიერი საფუძვლით და მოხდეს ,,ჩვენი" გადაწყვეტილების აღწერა და ჩაწერა.

1. **უსაფრთხოება და წვდომა**

- ,,ჩვენი“ მომსახურების გაწევისას შეგროვებული ნებისმიერი პერსონალური მონაცემი გადაეცემა და ინახება ,,შპს ზოუნ მედიას“ ან/და ,,ამაზონ ვებ სერვისის Inc.-ის“ მონაცემთა ცენტრებში, რომლებიც მდებარეობს ევროკავშირის წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე. პერსონალურ მონაცემებზე წვდომა აქვთ მხოლოდ ,,ბოლტის“ ჯგუფის კომპანიებისა და პარტნიორების უფლებამოსილ თანამშრომლებს და მონაცემებზე წვდომის მიღება შეუძლიათ მხოლოდ სერვისების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის მიზნით (მათ შორის, სატრანსპორტო მომსახურებასთან დაკავშირებული დავები).
- ,ბოლტის“ ჯგუფის კომპანიებსა და პარტნიორებს შეუძლიათ პერსონალურ მონაცემებზე წვდომა იმდენად, რამდენადაც საჭიროა შესაბამის ქვეყანაში მომხმარებელთა მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად.
- ,,ჩვენი“ კვლევისა და სამეცნიერო მიზნებისთვის, ყველა მონაცემი, როგორიცაა გეოლოკაციის მონაცემები, ანონიმურია, შესაბამისად ,,თქვენი“ იდენტიფიცირება ამ ინფორმაციით შეუძლებელია.

1. **,,თქვენი‘‘ უფლებები და მონაცემების მართვა**

,,ჩვენ“ გვსურს, რომ ,,თქვენ“ მართოთ ,,თქვენი“ პერსონალური მონაცემები. ,,ბოლტი“ გთავაზობთ მართვის შესაძლებლობას აპლიკაციის საშუალებით, სადაც შეგიძლიათ ნახოთ ,,თქვენი“ პერსონალური ინფორმაცია, ,,თქვენი“ პროფილის მონაცემებისა და მგზავრობის ისტორიის ჩათვლით. ,,ჩვენ“ ასევე გთავაზობთ აპლიკაციის შიდა პარამეტრებს, როგორიცაა მარკეტინგისა და გამჭვირვალე ქუქი-ფაილების მართვა ,,ჩვენს“ ვებ-გვერდზე.

,,თქვენი“ წვდომის უფლება

- ,,თქვენ“ გაქვთ წვდომა ,,თქვენს“ პერსონალურ მონაცემებზე ,,ბოლტის“ აპლიკაციაში. ,,თქვენ“ გაქვთ უფლება მოითხოვოთ ,,თქვენი“ პერსონალური ინფორმაციის ასლი. არსებობს რამდენიმე გამონაკლისი, მაგალითად, როდესაც ,,ჩვენ“ თანაბრად უნდა დავიცვათ სხვათა უფლებები, რაც ნიშნავს, რომ ,,თქვენ“ შეიძლება არ მიიღოთ ყველა მონაცემი, რომელსაც ,,ჩვენ“ ვამუშავებთ.

,,თქვენი“ ინფორმაციის განახლების უფლება

- ,,თქვენ“ გაქვთ წვდომა ,,თქვენს“ პერსონალურ მონაცემებზე ,,ბოლტის“ აპლიკაციაში, სადაც შეგიძლიათ მისი განახლება. ,,თქვენ“ გაქვთ უფლება მოითხოვოთ იმ პერსონალური ინფორმაციის ასლი, რომელსაც ,,ჩვენ“ ვამუშავებთ, თუმცა, თუ ,,თქვენ“ გსურთ ასლის სხვა ფორმით მოწოდება, ,,ჩვენ“ ვიტოვებთ უფლებას, დაგაკისროთ შესაბამისი ხარჯები. ,,თქვენ“ გაქვთ უფლება მოითხოვოთ იმ ინფორმაციის შეცვლა, რომელიც, ,,თქვენი“ აზრით, არასწორია. ,,თქვენ“ ასევე გაქვთ უფლება მოითხოვოთ ინფორმაციის სრულყოფილად ასახვა თუ, ,,თქვენ“ ფიქრობთ, რომ ის არასრულად არის ასახული.

,,თქვენი“ ინფორმაციის წაშლის უფლება

- ,,თქვენ“ გაქვთ უფლება მოგთხოვოთ ,,თქვენი“ პერსონალური ინფორმაციის წაშლა შესაბამის გარემოებებში.

,,თქვენ” მიერ დამუშავების შეზღუდვა

- ,,თქვენ“ გაქვთ უფლება მოგვთხოვოთ ,,თქვენი“ ინფორმაციის დამუშავების შეზღუდვა შესაბამის გარემოებებში. ეს ნიშნავს, რომ ,,თქვენი“ მონაცემების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ შეზღუდული მიზნებისთვის, როგორიცაა სამართლებრივი მოთხოვნები ან სამართლებრივი უფლებების განხორციელება.

,,თქვენი“ უფლება *შეეწინააღმდეგოთ დამუშავებას*

- ,,თქვენ“ შეიძლება გქონდეთ უფლება შეეწინააღმდეგოთ დამუშავებას, თუ ,,ჩვენ“ ვამუშავებთ ,,თქვენს“ ინფორმაციას ლეგიტიმური ინტერესის საფუძველზე. ,,თქვენ“ შეგიძლიათ ნებისმიერ დროს შეეწინააღმდეგოთ ,,თქვენი“ პერსონალური მონაცემების დამუშავებას, რაც გულისხმობს ავტომატიზირებულ დამუშავებას ან პროფილირებას, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ,,თქვენს“ უფლებებზე და მოითხოვს ადამიანის ჩარევას. ,,თქვენ“ ასევე გაქვთ უფლება მოგვთხოვოთ ახსნა ,,ჩვენ“ მიერ მიღებული ავტომატური გადაწყვეტილების

საფუძველთან დაკავშირებით.

,,თქვენ“ მონაცემთა გადატანის უფლება

- ,,თქვენ“ გაქვთ უფლება მოგვთხოვოთ, რომ ,,ჩვენ“ გადავცეთ ,,თქვენ“ მიერ მოწოდებული ინფორმაცია ერთი ორგანიზაციიდან მეორეს, ან მოგაწოდოთ იგი გარკვეულ გარემოებებში. ეს ეხება მხოლოდ ,,თქვენ“ მიერ ,,ჩვენთვის“ მოცემულ ინფორმაციას.
- ,,ბოლტის“ აპლიკაციაში მყისიერი შეტყობინებების შესახებ მონაცემების შენახვის ვადაა 90 დღე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შეტყობინებები დაკავშირებულია შეტყობინებულ ინციდენტთან - ამ შემთხვევაში ,,ჩვენ“ ამ მონაცემებს 6 თვის განმავლობაში შევინახავთ.

1. **შენახვა**

,,ბოლტი“ ინახავს მომხმარებლის მონაცემებს მხოლოდ იმ ვადით, რამდენიც საჭიროა ზემოთ მოცემული მიზნებისათვის. ეს ნიშნავს, რომ ,,ჩვენ“ ვინახავთ სხვადასხვა კატეგორიის მონაცემს სხვადასხვა პერიოდის განმავლობაში, რაც დამოკიდებულია მონაცემთა სახეობაზე, სატრანსპორტო მომსახურებაზე, რომელსაც უკავშირდება ეს მონაცემი და იმ მიზნებზე, რისთვისაც ,,ჩვენ“ შევაგროვეთ მონაცემები.

- ,,თქვენი“ პერსონალური მონაცემები ინახება მანამ, სანამ აქტიური მგზავრის ანგარიში გაქვთ. თუ ,,თქვენი“ ანგარიში დაიხურება, პერსონალური მონაცემები წაიშლება (,,ჩვენი“ შენახვის გრაფიკისა და წესების შესაბამისად), თუ ასეთი მონაცემები არ არის საჭირო სამართლებრივი ვალდებულების შესასრულებლად, ან ბუღალტრული აღრიცხვის, დავების გადაწყვეტის ან თაღლითობის პრევენციის მიზნით.
- მგზავრებისთვის გაწეული სატრანსპორტო მომსახურების შესახებ ფინანსური მონაცემები ინახება ბოლო მოგზაურობიდან სამი წლის ვადით. სხვა ბუღალტრული სააღრიცხვო მიზნებისთვის საჭირო მონაცემები ინახება ბოლო მოგზაურობიდან შვიდი წლის ვადით.
- იმ შემთხვევაში, თუ მიმდინარეობს ოფიციალური გამოძიება სისხლის სამართლის დანაშაულის, თაღლითობის ან ყალბი ინფორმაციის შესახებ, მონაცემები შეინახება მანამ, სანამ ეს საჭიროა შიდა, სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად.
- გადახდის დავების შემთხვევაში, მონაცემები შენარჩუნდება მოთხოვნის დაკმაყოფილებამდე ან ასეთი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე.
- მგზავრობის ისტორიის მონაცემები და მონაცემები სატრანსპორტო მომსახურების გამოყენების შესახებ ინახება სამი წლის ვადით, რის შემდეგაც მონაცემები ანონიმური გახდება.
- დასაქირავებელი სატრანსპორტო საშუალების სენსორებით მოპოვებული მონაცემები ინახება 6 თვის ვადით.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ,,თქვენს“ მოწყობილობაში ,,ბოლტის“ აპლიკაციის დეინსტალაცია არ იწვევს ,,თქვენი“ პერსონალური მონაცემების წაშლას. თუ ,,ბოლტის“ აპლიკაცია სამი წლის განმავლობაში არ გამოიყენება, ,,ჩვენ“ დაგიკავშირდებით და გთხოვთ დაადასტუროთ, რომ გსურთ ,,თქვენი“ ანგარიშის აქტიური სტატუსის შენარჩუნება მომავალი გამოყენებისთვის. თუ ,,ჩვენ“ პასუხს ვერ მივიღებთ გონივრულ ვადაში, ანგარიში დაიხურება და პერსონალური მონაცემები წაიშლება, თუ ასეთი მონაცემები არ არის საჭირო ამ კონფიდენციალურობის შეტყობინებაში ზემოთ ნახსენები ნებისმიერი მიზნისთვის.

მგზავრობის აუდიოჩამწერის მიერ მოპოვებული აუდიოჩანაწერის მონაცემების შენახვის ვადა არის:

- 24 საათი და ინახება ადგილობრივად იმ პირის მოწყობილობაზე, რომელიც ქმნის აუდიოჩანაწერს. ჩანაწერები ავტომატურად იშლება 24 საათის შემდეგ, თუ ,,ბოლტის“ მომხმარებელთა მხარდაჭერის ჯგუფს არ მიუვა საჩივარი და ამ საჩივართან ერთად ჩანაწერი პირდაპირ არ არის გაზიარებული ,,ბოლტის“ მომხმარებელთა მხარდაჭერის გუნდთან.
- ,,ბოლტის“ მიერ გაზიარებული და გამოძიებული ჩანაწერები ავტომატურად წაიშლება 7 დღის შემდეგ, თუ შენახვის ვადა არ გაგრძელდება გამოძიების/სამართლებრივი მიზეზების გამო.

1. **პირდაპირი მარკეტინგი**

- ,,თქვენი“ ნებართვის მიღების შემდეგ, ან რბილი თანხმობის საფუძველზე, ,,ჩვენ“ შეიძლება გავაგზავნოთ პირდაპირი მარკეტინგული შეტყობინებები ,,თქვენი“ ელ.ფოსტის მისამართზე ან/და ტელეფონის ნომერზე. ,,თქვენ“ მიერ ,,ბოლტის“ აპლიკაციის გამოყენებით მიღებული ინფორმაციის საფუძელზე ,,ჩვენ“ შეიძლება მოვახდინოთ პირდაპირი მარკეტინგული შეტყობინებების ინდივიდუალიზაცია. ასეთი ინფორმაცია შეიძლება იყოს, მაგალითად: რამდენად ხშირად იყენებთ ,,ბოლტის“ აპლიკაციას და ,,თქვენი“ გადაადგილების პრეფერენციები.
- თუ ,,თქვენ“ აღარ გსურთ პირდაპირი მარკეტინგული შეტყობინებების მიღება, გთხოვთ, დააწკაპუნოთ ბმულზე "გამოწერის გაუქმება" ,,ჩვენი“ ელ.ფოსტის ქვედა კოლონტიტულით, ან უარი თქვათ ,,ბოლტის“ აპლიკაციის პროფილის შესაბამის განყოფილებაში. მარტივია.

1. **გადაწვეტილების ავტომატური მიღება**

გაფრთხილებების გაცემისას და მგზავრობის მომსახურების შეჩერებისას ,,ჩვენ“ ვიღებთ დახმარებას ავტომატური გადაწყვეტილების მიმღებისგან. ავტომატური გადაწყვეტილების მიმღები ნაკლებად მიდრეკილია შეცდომებისკენ, უფრო ეფექტური და უსაფრთხოა ვიდრე ,,ჩვენი“ დასაქმებულები. ,,თქვენ“ მიერ სატრანსპორტო საშუალებების გამოყენების შესახებ მონაცემები (მონაცემები მგზავრობის სტატუსის შესახებ, მათ შორის ინფორმაცია გაუქმების და არ-გამოცხადების შესახებ და მძღოლი შეფასება), გამოიყენება გაფრთხილების ან შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. ,,თქვენ“ შეგიძლიათ გაეცნოთ დეტალურ ინფორმაციას ავტომატური გადაწყვეტილების მიმღების შესახებ ამ ბმულზე. მგზავრობა შეჩერებული იქნება 6 თვის განმავლობაში, რის შემდეგაც დაგიბრუნდებათ მგზავრობის შეკვეთების განთავსების უფლება.
,,ჩვენ“ ასევე შეიძლება გამოვიყენოთ გადაწყვეტილების ავტომატური მიმღები თაღლითობის შემთხვევების შესამოწმებლად, რაც ,,ჩვენთვის“ აუცილებელია ,,ჩვენი“ მომსახურებისა და შესაბამისი გადახდისა უზრუნველსაყოფად და მგზავრების მიერ მითითებული საგადასახადო ბარათების თაღლითობისგან დასაცავად.
,,ჩვენ“ ასევე შესაძლოა გამოვიყენოთ ავტომატური გადაწყვეტილების მიმღები ,,თქვენი“ ვერიფიკაციის მიზნით, რაც აუცილებელია ,,ჩვენი“ პლატფორმის უსაფრთხოებისა და ,,ჩვენი“ წესებისა და პირობების აღსასრულებლად.
,,ჩვენ“ ასევე შესაძლოა გამოვიყენოთ ავტომატური გადაწყვეტილების მიმღები საჩივრის გადაწყვეტის მიზნით. ,,ჩვენ“ შეიძლება გამოვიყენოთ საჩივარში მითითებული ინფორმაცია, რომელსაც ,,თქვენ“ აწვდით ,,ჩვენს“ მომხმარებელთა მხარდაჭერის გუნდს ,,ჩვენი“ მყისიერი შეტყობინების ფუნქციის საშუალებით. ,,თქვენს“ საჩივრებთან დაკავშირებული ინფორმაცია შეიძლება გამოყენებულ იქნას ავტომატური პასუხის შესაქმნელად, რომელსაც შემდეგ შეაფასებს ადამიანი-აგენტი საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.
იმ შემთხვევებში, როდესაც ,,ჩვენ” ვიყენებთ ავტომატურ დამუშავებას ან პროფილირებას, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ,,თქვენს“ უფლებებზე, ,,თქვენ“ შეიძლება გქონდეთ უფლება მოითხოვოთ ადამიანის ჩარევა და ,,თქვენს“ კონკრეტულ სიტუაციასთან დაკავშირებული საფუძვლებით, გაასაჩივროთ ,,თქვენს“ შესახებ პერსონალური მონაცემების დამუშავება ავტომატური გადაწყვეტილებების/პროფილირების საფუძველზე, როგორც ეს განსაზღვრულია მუხლში სახელით: ,,თქვენი უფლებები და მართვა", და გამოხატოთ ,,თქვენი“ აზრი და გაასაჩივროთ გადაწყვეტილების შედეგი ,,ჩვენს“ აპლიკაციაში მომხმარებელთა მხარდაჭერის გუნდთან დაკავშირებით. ,,თქვენ“ ასევე შეგიძლიათ მოითხოვოთ ავტომატური გადაწყვეტილების

საფუძვლის ახსნა.
გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ გარკვეული გამონაკლისები და შეზღუდვები შეიძლება გავრცელდეს ,,თქვენს“ უფლებაზე გაასაჩივროთ ავტომატური გადაწყვეტილება, როგორც ეს ნებადართულია მოქმედი კანონმდებლობითა და რეგულაციებით. ,,ჩვენ“ მოგაწვდით მკაფიო ინფორმაციას ,,თქვენი“ უფლებების გამოყენების შედეგებისა და ავტომატური გადაწყვეტილების წინააღმდეგ მიმართულ პროცესებთან დაკავშირებით.

1. **დავების გადაწყვეტა**

- პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებული დავები პირველ ეტაპზე მომხმარებლის მხარდაჭერის გუნდის (info@bolt.eu) მეშვეობით წყდება. ,,თქვენ“ გაქვთ უფლება დაუკავშირდეთ ,,ბოლტის“ მონაცემთა დაცვის ოფიცერს (privacy@bolt.eu).
- ,,ჩვენი“ საზედამხედველო ორგანოა ესტონეთის მონაცემთა დაცვის ინსპექცია (www.aki.ee). ,,თქვენ“ გაქვთ უფლება შეიტანოთ საჩივარი ადგილობრივ საზედამხედველო ორგანოში, თუ ფიქრობთ, რომ ,,ჩვენ“ უკანონოდ დავამუშავეთ ,,თქვენი“ პერსონალური მონაცემები ან დამუშავება არ შეესაბამებოდა ,,ჩვენს“ სამართლებრივ ვალდებულებებს.

1. **აამ შეტყობინების გაუმჯობესება**

ვიმედოვნებთ, რომ ეს კონფიდენციალურობის შეტყობინება ,,თქვენთვის“ ადვილად გასაგები იყო. მონაცემთა დაცვის კანონები მნიშვნელოვანია. ისინი აძლიერებენ წესებს და განამტკიცებენ ,,თქვენს“ პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლებას. ამ წესებიდან ბევრი შეიძლება რთული ჩანდეს, მაგრამ უმეტესობის საფუძველი საღი აზრია. ,,ჩვენ“ მკაცრად ვუდგებით ,,ჩვენს“ პასუხისმგებლობას ,,თქვენს“ მონაცემებთან მიმართებით. ,,ბოლტი“, ,,თქვენი“ კონფიდენციალურობის დაცვისა ვალდებულების შესაბამისად და მეტი გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით გააგრძელებს ცვლილებების შეტანას ამ კონფიდენციალურობის შეტყობინებაში.
დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია ადგილობრივ ,,წესებსა და პირობებში მგზავრებისთვის“, რომლებიც შეგიძლიათ იხილოთ აქ და ,,ბოლტის“ ,,ელექტრონული სატრანსპორტო საშუალებების გლობალური მომსახურების პირობებში მგზავრებისთვის“, რომელიც შეგიძლიათ იხილოთ აქ.